



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
არაბული ენა და ლიტერატურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი გურამ ჩიქოვანი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (995 32) 23 18 73; (992 32) 30 95 22

ქუთაისი
2008

1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით მოამზადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მაგისტრები, რომელთაც ექნებათ ღრმა ცოდნა არაბული ენისა და ლიტერატურის განვითარების თავისებურებების შესახებ. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

მაგისტრი მზადდება პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, მეთოდოლოგიური, მთარგმნელობითი საქმიანობისათვის.

არაბული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მაგისტრს ფართო პერსპექტივა ესაზღვრება: შეუძლია დასაქმდეს მეცნიერულ და პედაგოგიურ სფეროში, იღვწოს დიპლომატიურ ასპარეზზე, შეუძლია იმუშაოს იმავე დეპარტამენტში, აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტებში, მუზეუმებში, წიგნსაცავებში, გამომცემლობებში, არაბული ენის თარჯიმნად. ისი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანია.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	დისციპლინის დასახელება	გამოცდა	სააუდიტორიო მუშაობა							საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				შენიშვნა	
			ს.უ.ლ	ლ.წმ.ც.ი	პრაქტიკული	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი		
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	სულ	I	II	II		IV
											I	II	I		IV
	არაბული ლიტერატურა (სავალდებულო)														
1	შუა საუკუნეების არაბული პოეზია და მისი წყაროები	2	96	69	27	5	5			10	3	4			
2	შუა საუკუნეების არაბული პროზა	3	54	27	27		5	5		10		2	2		
3	სპეცკურსი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში	3	36	24	12			5		5			3		
4	სპეცკურსი არაბულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში	3	24	12	12			5		5			2		
5	არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები	1	24	12	12	5				5	2				
	არაბული ენა (სავალდებულო)														
1	სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა	2	30	20	10		5			5		2			
2	შუა საუკუნეების არაბული გრამატიკული ლიტერატურა	1	36	24	12	5				5	3				
3	არაბული დიალექტილოგია და რომელიმე არაბული დიალექტი	2	54	27	27	5	5			10	2	2			
4	ებრაული ენა	1	36	12	24	5				5	3				
5	არაბული ენის თეორიული გრამატიკა	3	36	24	12			5		5			3		
6	სპეცკურსი ყურანში	2	30	15	15		5			5		2			
7	სათარჯიმნო პრაქტიკუმი	3	36		36			5		5			3		
1	საკურსო ნაშრომი	2	10/11სტ				5			5					

2	სამაგისტრო ნაშრომი		30/1სტ						30	30					
არჩევითი კურსები															
1	არაბული ეთნოლოგია, მხარეთმცოდნეობა, კულტურა														
2	ისლამური ფუნდამენტალიზმი და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი	1	24	12	12	5				5	2				
3	არაბული ლექსიკოლოგია														
4	თანამედროვე არაბული ოფიციალური დოკუმენტაციის ენა														
5	არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობები	3	24	12	12			5		5			2		
6	მეტყველების კულტურა და ეტიკეტი														
	შუა საუკუნეების არაბული პოეტიკა														
ს უ ლ:			580	278	262	30	30	30	30	120	1 5	1 2	1 5		

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.